ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №66294

ნომერი: AR125855

თარიღი : 25.02.2012

გაცემის თარიღი : 01.03.2012

გაცნობის თარიღი : 01.03.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ "სარაჯიშვილი"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი წერეთელი პ/ნ 01023002888
- თბილისი საბარგოს დას. გ.ანწუხელიძის ქ. N 9

ორგანიზაცია:

- ევრო სვინგ კოდი: 200069549

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

1. ვინაიდან საპროექტო ობიექტი განთავსებულია ქალაქგეგმარებით კარკასზე, სადაც თითოეულ შენობას და მათზე განთავსებულ დეტალებს ექცევა განსაკუთრებული ყურადღება, არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია წარმოდგენილი სახით სარეკლამო აბრების განთავსება. შესაძლებელია მხოლოდ ერთი ბანერის მოწყობა ვიტრაჟის თავზე, მეტად სადა და დახვეწილი ვარიანტის შემუშავების შემთხვევაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე "ფოტომონტაჟი"–ს ველში უნდა ატვირთოთ განახლებული ფოტომონტაჟი.
2. ნომენკლატურა არ არის სწორად შერჩეული. ახალი განცხადების დარეგისტრირებისას უნდა აირჩიოთ: "I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები" – "აბრებისა და რეკლამების განთავსება" – ქმედებები: "რეკონსტრუქცია".
3. "ფართის მესაკუთრეთა თანხმობის" ველში უნდა ატვირთოთ საპროექტო ფართის მესაკუთრის, შ.პ.ს. "ბაზრობა–გაზაფხული"–ს დირექტორის თანხმობა, მის კუთვნილ ფართის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობასთან დაკავშირებით.
4. გაითვალისწინეთ: ჩამოთვლილ ველებში უნდა აიტვირთოს ველის შესაბამისი დოკუმენტაცია.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.